განმცხადებელი: სულხან ზუმბურიძე
თარიღი: 20-08-2020

მივიჩნევ, რომ ჟურნალისტმა/რედაქტორმა დაარღვია საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპ(ებ)ი: პრინციპი 1;პრინციპი 3;პრინციპი 11

ინფორმაცია ჟურნალისტის/რედაქტორის შესახებ, რომელმაც სავარაუდოდ დაარღვია ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპები: ინა ცარციძე, TV-პირველი, "პირველები" "ბრძანება ნომერი 1304-გურიის ინტერნეტიზაცია"
http://www.myvideo.ge/tv/pirvelitv/2020-08-12/20:32:39

სადავო მასალა: "ბრძანება ნომერი 1304-გურიის ინტერნეტიზაცია"
http://www.myvideo.ge/tv/pirvelitv/2020-08-12/20:32:39

ჟურნალისტის//რედაქტორის მიერ ქარტიის პრინციპების დარღვევის დასაბუთება:

მიგვაჩნია, რომ დარღვეულია ქარტიის პირველი, მესამე და მეთერთმეტე პრინციპი, რომლის მიხედვითაც საზოგადოებას უფლება აქვს მიიღოს ზუსტი ინფორმაცია. ჟურნალისტმა საზოგადოებას მიაწოდა მცდარი ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც ბატონი სულხან ზუმბურიძე სს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ მხილებულია კორუფციაში, ასევე არის ქურდი და ყაჩაღი. აუდიტის დასკვნაში ბატონ სულხან ზუმბურიძის წინააღმდეგ არც ერთ მუხლში არ ფიგურირებს მსგავსი დანაშაულებანი და აქაც ცალსახაა მესამე პრინციპის დარღვევა. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გვაქვს საფუძვლიანი ეჭვი იმისა, რომ ჟურნალისტი ცდილობს რეპორტაჟით ფაქტების განზრახ დამახინჯებას, რითიც ირღვევა ქარტიის მე-11 პრინციპი. მტკიცებულებად გთხოვთ იხილოთ აუდიტის სამსახურის დასკვნა: https://sao.ge/files/auditi/auditis-angarishebi/2019/elegtrosistemebis-angarishi.pdf

განცხადება და თანდართული მასალები, დასაშვებობის შემთხვევაში, ხდება საჯარო და ნებისმიერ პირს ექნება საშუალება გაეცნოს მას. : ვეთანხმები